



EAST • WEST  
MANAGEMENT  
INSTITUTE

სამთავროს სამთავროს განვითარებისა  
და მთავრობის ჩართულობის პროექტი  
ADVANCING CSO CAPACITIES AND ENGAGING SOCIETY  
FOR SUSTAINABILITY (ACCESS)



## „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების მხარდასაჭერად“

### მონიტორინგის მეორე შუალედური ანგარიში

მონიტორინგი განხორციელდა აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) ACCESS-ის პროექტის ფარგლებში, ამერიკელი ხალხის მხარდაჭერის შედეგად ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი (DRI) და ის შესაძლოა არ გამოხატავდეს EWMI-ს, USAID-ის ან/და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

## სარჩევი

შესავალი .....	3
1. საანგარიშო პერიოდში მაღალი იერარქიის სასულიერო პირების განცხადებები.....	3
2. საპატრიარქოს დუმის არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით და სასულიერო პირთა შეფასებები.....	6

## შესავალი

2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, მაჟორიტარული ოლქების უმრავლესობაში არჩევნების მეორე ტურის ჩატარება მოსალოდნელი იყო. 21 ნოემბერს, არჩევნების მეორე ტური 30-დან 17 მაჟორიტარულ ოლქში გაიმართა.<sup>1</sup>

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის მიერ რელიგიური ორგანიზაციებისა და სასულიერო პირების წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობაზე განხორციელებულმა დაკვირვებამ აჩვენა, რომ 31 ოქტომბრამდე, მაღალი იერარქიის სასულიერო პირების მხრიდან ადგილი ჰქონდა პოლიტიკური სუბიექტების სასარგებლო აგიტაციის არა ერთ შესაძლო ფაქტს. სასულიერო პირები მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატა წარდგენასაც ხშირად ესწრებოდნენ.<sup>2</sup>

კონსტიტუციონალისტ დიმიტრი გეგენავას შეფასებით, ზოგადად, რელიგიური ორგანიზაციის ზეგავლენა მრევლზე უცხო არაა არც აღმოსავლური და არც დასავლური ტიპის ეკლესიებისთვის. ეკლესიისადმი მაღალი ნდობიდან გამომდინარე, არაა გამორიცხული, ამომრჩევლის ნებაზე ზეგავლენა იქონიოს ამა თუ იმ პოლიტიკური სუბიექტის მიმართ სასულიერო პირთა განწყობამ.<sup>3</sup>

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი სოციალური ქსელისა და მედიის მეშვეობით სასულიერო პირების აქტიურობას არჩევნების მეორე ტურამდე პერიოდშიც დააკვირდა. მონიტორინგი ძირითადად მოიცავს 1-ლი ნოემბრიდან 21 ნოემბრის ჩათვლით პერიოდს, თუმცა, მასში ასევე ასახულია არჩევნების მეორე ტურის შემდგომი მოვლენებიც.

## 1. საანგარიშო პერიოდში მაღალი იერარქიის სასულიერო პირების განცხადებები

2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგების ლეგიტიმურობა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს, ოპოზიციურმა პოლიტიკურმა პარტიებმა და საზოგადოების ნაწილმა, რასაც საპროტესტო აქციები მოჰყვა.<sup>4</sup> აღსანიშნავია, რომ 31 ოქტომბრამდე პერიოდში გამოჩენილი აქტიურობისგან განსხვავებით, მაღალი იერარქიის სასულიერო პირები 1-ლი ნოემბრიდან 21 ნოემბრის ჩათვლით პერიოდში, საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებით უფრო თავშეკავებულები იყვნენ.

*ქყონდიდის ყოფილი მიტროპოლიტი პეტრე ცაავა*

<sup>1</sup> cesko.ge (ვებ-გვერდი), „პარლამენტის არჩევნების მეორე ტური 21 ნოემბერს გაიმართება“, 13.11.2020, <https://cesko.ge/geo/list/show/123226-parlamentis-archevnebis-meore-turi-21-noembers-gaimarteba>, [ბოლოს ნანახია: 29.11.2020]

<sup>2</sup> democracyresearch.org (ვებ-გვერდი), „წინასაარჩევნო კამპანიაში რელიგიური ორგანიზაციების და კონკრეტული სასულიერო პირების მონაწილეობა შეინიშნება“, 30.10.2020 [http://www.democracyresearch.org/geo/447?fbclid=IwAR32h00tb6h4aYtQpzEPcV2h\\_NUR2Guy1i-latICcPWjaPj0HAZxLxdhy2I](http://www.democracyresearch.org/geo/447?fbclid=IwAR32h00tb6h4aYtQpzEPcV2h_NUR2Guy1i-latICcPWjaPj0HAZxLxdhy2I)

<sup>3</sup> Democracy Research Institute - DRI / დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი (ფეისბუქ-გვერდი), 20.11.2020, <https://www.facebook.com/Democracy.Research.Institute/videos/3440862355961711>, [ბოლოს ნანახია: 29.11.2020]

<sup>4</sup> publika.ge (ვებ - გვერდი), 01.11.2020, <https://publika.ge/8-noembers-opoziciam-grandiozuli-aqcia-msvleloba-dagegma/> [ბოლოს ნანახია - 29.11.2020]

5 ნოემბერს, პეტრე ცაავამ ღიად განაცხადა თავისი პოზიცია და 31 ოქტომბრის არჩევნებს ხელისუფლების მხრიდან განხორციელებული მორიგი სპეცოპერაცია უწოდა. იგი საპატრიარქოს დუმილსაც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ საპატრიარქო უსამართლობის მხარესაა.<sup>5</sup>



ჭყონდიდის ყოფილი მიტროპოლიტის პეტრე ცაავას დასწრება და სიტყვით გამოსვლა ოპოზიციის მიერ ორგანიზებულ 8 ნოემბრის აქციაზე, პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობად შეიძლება შეფასდეს. „აქ ვიმყოფები იმისათვის, რომ მჯერა, სამართლიანი საქართველო არ შედგება მარტო ლოცვით, არამედ ბრძოლა და შრომა საჭირო“ - განაცხადა მან შეკრებაზე.<sup>6</sup>

*დეკანოზი იოანე ჭილაძე*

დეკანოზმა იოანე ჭილაძემ საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებით ღიად გამოუცხადა მხარდაჭერა ოპოზიციურ ძალას და აღნიშნა, რომ „მიმდინარე სახალხო აქცია არის საქართველოს გადარჩენისთვის თავის გაწირვა.“<sup>7</sup> დეკანოზს აღნიშნული განცხადება ქადაგების დროს არ გაუკეთებია, თუმცა, მის განცხადებას ამომრჩევლის ნებაზე, რომლის თვალშიც დეკანოზი მაღალი ავტორიტეტით სარგებლობის, ზეგავლენის მოხდენა შეუძლია.

*დეკანოზი ბასილ ჟორჟიკაშვილი*

<sup>5</sup> On.ge (ვებ-გვერდი), „ მეუფე პეტრეს თქმით, 31 ოქტომბრის არჩევნები მორიგი სპეცოპერაცია იყო“, 05.11.2020, <http://go.on.ge/1w10> , [ბოლოს ნანახია: 29.11.2020]

<sup>6</sup> kvira.ge (ვებ-გვერდი), 08.11.2020, <http://kvira.ge/609041?fbclid=IwAR0Lvti6fMtZsAHdfVfMzHcSShmM5flm1J8QkNUSiAfSlg3DCMTzPNfc7NU> , [ბოლოს ნანახია: 29.11.2020]

<sup>7</sup> formulanews.ge (ვებ-გვერდი), 08.11.2020, <https://formulanews.ge/Phrase/40588> , [ბოლოს ნანახია: 29.11.2020]

8 ნოემბერს გამართული აქციის მონაწილეებს დეკანოზმა ბასილ ჟორჟიკაშვილმა ბრბო და პროვოკატორები უწოდა.<sup>8</sup>

*ქუთაის-გაენათის ეპარქიის მიტროპოლიტი მეუფე იოანე (გამრეკელი)*

პოლიტიკურ პროცესებს ქუთაის-გაენათის ეპარქიის მიტროპოლიტი მეუფე იოანე (გამრეკელი) გამოეხმაურა, რომელმაც აღნიშნა, „ემებენ რაღაც უარყოფითს, სიკეთეს ვერ ხედავენ, ვერ ხედავენ აღმშენებლობას.“ მან უარყოფითად შეაფასა მიმდინარე აქციები და მრევლს სახლში დარჩენისკენ მოუწოდა.<sup>9</sup> მღვდელმთავარმა აღნიშნულ საკითხზე საკვირაო ლიტურგიის შემდეგ, ქადაგების დროს ისაუბრა, რაც, ქმნის შთაბეჭდილებას, რომ სასულიერო პირი ეკლესიის, როგორც რელიგიური ორგანიზაციის სახელით საუბრობს.

*ბოდბელი ეპისკოპოსი იაკობი*

ბოდბელი ეპისკოპოსი იაკობი, 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე ურთიერთგამომრიცხავი, თუმცა მეტწილად ხელისუფლების მხარდამჭერი მოწოდებებით გამოირჩეოდა.<sup>10</sup> არჩევნების ორივე ტურის დასრულების შემდეგ, მღვდელმთავარმა დაპირისპირებულ მხარეებს (ხელისუფლების და ოპოზიციის წარმომადგენლებს) მიმართა, მოლაპარაკებისთვისა და შეთანხმებისთვის ეკლესიაში მისულიყვნენ. მისი თქმით, სწორედ ეკლესიამ უნდა დააკავშიროს და შეარიგოს ეს ორი მხარე ერთმანეთს.<sup>11</sup>

<sup>8</sup> alia.ge (ვებ-გვერდი), 08.11.2020, <https://www.alia.ge/%E1%83%95%E1%83%98%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9D-%E1%83%97%E1%83%A5%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9C-%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97-%E1%83%A5%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A7%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1/> [ბოლოს ნანახია: 29.11.2020]

<sup>9</sup> mtavari.tv (ვებ-გვერდი), 10.11.2020, <https://mtavari.tv/news/22388-edzeben-raghats-uarqopits-siketes-ver-khedaven?fbclid=IwAR2TfjkK8szDGuuuK6mRpAX4yn2YfgqkrTV2cUbWghQuHu-3yDYpWzzdVis> , [ბოლოს ნანახია - 29.11.2020]

<sup>10</sup> democracyresearch.org (ვებ-გვერდი), „წინასაარჩევნო კამპანიაში რელიგიური ორგანიზაციების და კონკრეტული სასულიერო პირების მონაწილეობა შეინიშნება“, 30.10.2020. [http://www.democracyresearch.org/geo/447?fbclid=IwAR32h00tb6h4aYtQpzEPcV2h\\_NUR2Guyli-latICcPWjaPj0HAZxLxdhy2I](http://www.democracyresearch.org/geo/447?fbclid=IwAR32h00tb6h4aYtQpzEPcV2h_NUR2Guyli-latICcPWjaPj0HAZxLxdhy2I)


<sup>11</sup> radiotavisupleba.ge (ვებ-გვერდი), ეპისკოპოსი იაკობი ოპოზიციას და ხელისუფლებას მოსალაპარაკებლად ეკლესიაში მისვლას სთავაზობს“, 24.11.2020. <https://www.radiotavisupleba.ge/a/30966515.html?fbclid=IwAR06swTvdF2PQc7yTrTnY93czHn1bOKRAIS5yAGkLlz0risRkZZRhYkiHfi> , [ბოლოს ნანახია - 29.11.2020]

## ეპისკოპოსი იაკობი ოპოზიციას და ხელისუფლებას მოსალაპარაკებლად ეკლესიაში მისვლას სთავაზობს



ბოძელი ეპისკოპოსი იაკობი ამბობს, რომ საპარლამენტო არჩევნების მმართველობის დროს „არცერთ მხარეს არ ჩაჩუქდა“. მისი თქმით, ის ლეიტის შესახებ, რომ გომიერის კვება გაიმარჯვოს. მას ფელს, 24 ნოემბერს ქვეყნის დროს ოპოზიციასა და ხელისუფლებას მოლაპარაკებოების კვლევა შეუთავაზა.

“მე მინდა ერთ რამეს შევუბო. მე მინდა ვნახო ჩვენი ერთ დამშვიდებული. ალბათ, ერთი დამშვიდდება... ენაყო ჰყოფს, ღმერთი - პერიოდებს, ალბათ, გაერთიანება ეკლესიაში უნდა მოხდეს. კარგად იყოს, ჩაბარდა არჩევნები. მე არ შევუბო, იმის არ ვაპირებ, რომ ცვან-მართალი ვეძებო. არჩევნებში უნდა გაგვეერთიანო, კი არ უნდა გაგვეყო და ჩვეს უნდა ვეცადო. რომ თუ გარეთ ვერ ვსივლით გამოსადგოს... მართო უფოლუბითან მთელა არ არის საცარბის, შევულოთ შევთამაყო მოვიდნენ და ეკლესია არის ის ადგილი, სადაც შეიძლება მოხდეს



## 2. საპატრიარქოს დუმილი არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით და სასულიერო პირთა შეფასებები

2020 წლის საპარლამენტო არჩევნების საბოლოო შედეგებთან დაკავშირებით, საპატრიარქოს ოფიციალური განცხადება მეორე ტურის დასრულების შემდეგაც არ გაუკეთებია. ქვეყანაში არსებული პოლიტიკური კრიზისის ფონზე საპატრიარქოს დუმილს დისკუსია და სხვადასხვა შეფასებები მოჰყვა.

თეოლოგიის დოქტორმა მირიან გამრეკელაშვილმა პოლიტიკური დამაბულობის დროს საპატრიარქოს თავშეკავებულ მიდგომას რაციონალური უწოდა და აღნიშნა, რომ ოპოზიციური სპექტრის მხრიდან არჩევნების ბოიკოტირების ფონზე „აზრს მოკლებული“ იქნებოდა ქართული ოცნებისთვის გამარჯვების მილოცვა.<sup>12</sup>

უშუალოდ საპატრიარქოში კი, როგორც ჩანს, აზრთა სხვადასხვაობაა. აღნიშნულ საკითხზე დუმილი დაარღვია ქუთაის-გაენათის მიტროპოლიტმა მეუფე იოანე გამრეკელმა და განაცხადა, რომ მმართველ პარტიას გამარჯვება ყველამ უნდა მიულოცოს.<sup>13</sup>

<sup>12</sup> radiotavisupleba.ge (ვებ.გვერდი) „რატომ არ ჩქარობს საპატრიარქო გამარჯვების მილოცვას „ქართული ოცნებისთვის“, როცა არჩევნების შედეგები უკვე ცნობილია?“, 25.11.2020, <https://www.radiotavisupleba.ge/a/30968938.html> [ბოლოს ნანახია: 26.11.2020]

<sup>13</sup> reginfo.ge, „ქართულ ოცნებას“ გამარჯვება ყველამ უნდა მივულოცოთ, რათა მშვიდობა იყოს – მეუფე იოანე“, 23.11.2020, <https://reginfo.ge/politics/item/20152-%E2%80%9E%Eqartul-oznebas%E2%80%9C-%20gamarjveba-ybvelam-unda-mivulozot%2C-rata-mshvidoba-iybos-%E2%80%93-eupe-%20ioane>

„ქართულ ოცნებას“ გამარჯვება ყველამ უნდა მიველოცოთ, რათა მშვიდობა იყოს – მეუფე იოანე

12:48 | ინფორმაცია | 23 ნოემბერი 2020 | 122



„იხარებოდა პურკლედან, ვრცე აოქმბე მამაშობაჩარა დეზოტრადის, ყოველივინ სხვისიდა სხვით ოამაში“.  
– გამაქმედა ქოთილ-ვაქნალოვს მატრონილდის ოამებ 2020 წლის პარლამენტის არჩევნებთან დაკავშირებით.  
დარწლიდის კოიჩეაზე, მილოცა თუ არა მამ გამარჯვება მმაროდელ ვენის, ეპსკოპოსმა თუჯა, რომ გამარჯვება ყველამ უნდა მივლოცოთ.  
– გამარჯვება ყველამ უნდა მივლოცოთ, რათა ქვეყანა იყოს მშვიდობა ვაისარჯა? ხელის ხმა არის? – მივლოცოთ არა მარტო ჩვენთან, ამერკაშელ ასეა, გამარჯვება სრულხეცტა? – ევლოცავო მაროალი, ტრამა არ ვომბებთ, მარამ დაამტკუნო, რომ ვაქალხებს სქონია ავილო? – აქმინა პიტრონილდებ.

“დაველოდოთ” – საპატრიარქოში ბევრს არაფერს ამბობენ

“კერ ხომ ოფიციალურად არ დადებულა [შედეგები]? დაველოდოთ”, – პასუხისმცემი ანდრია ჯალაღიძე ნეტგაზეთის კითხვას, რატომ არ ეხმაურება საპატრიარქო არჩევნებს მეორე ტურის დასრულების შემდეგაც.

საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი მიიჩნევს, რომ პოლიტიკური დაძაბულობის დროს განცხადებების კეთება მიზანშეწონილი არ არის.

“როდესაც საზოგადოება ასეთი დაძაბულია და ნებისმიერ სიტყვას პოლიტიკურ შეფასებას აძლევს, ალბათ უფრო მიზანშეწონილია, როცა დასრულდება ეს პროცესი, შემდგომში იქნება რაიმე კომენტარის გაკეთება”, – იხსენებს ის.



საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ანდრია ჯალაღიძემ საპარლამენტო არჩევნების მეორე ტურამდე განაცხადა, რომ პოლიტიკური დაძაბულობის დროს მიზანშეწონილად არ მიიჩნევს პოლიტიკური განცხადებების კეთებას, მითუმეტეს იმ ფონზე, რომ ჯერ ოფიციალურად არ გამოცხადებულა საბოლოო შედეგი.<sup>14</sup>

საპარლამენტო არჩევნებზე საპატრიარქოს დუმილი მართებულ პოზიციად შეაფასა მიუნხენის წმინდა ვახტანგ გორგასლის სახელობის ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვარმა, დეკანოზმა თამაზ ლომიძემ, რომელმაც ფეისბუქ გვერდზე გამოაქვეყნა პოსტი და აღნიშნა, რომ ეკლესიას არც აქამდე უნდა მიელოცა არცერთ არჩევნებში გამარჯვებულისთვის. ის საარჩევნო კამპანიისგან ეკლესიის სრული დისტანცირების მომხრეა.

ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტ მეუფე გერასიმეს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების ლეგიტიმურობა ეჭვქვეშ არ დაუყენებია, თუმცა ჟურნალისტის კითხვაზე, მიულოცა თუ არა ქართულ ოცნებას გამარჯვება, პასუხისგან თავი შეიკავა და განაცხადა: „ჩვენ ვულოცავთ დღესასწაულებს, ვინც ქრისტიანულად ცხოვრობს და ქრისტიანულად აღესრულება. ყველას ვულოცავ გიორგობის წმინდა დღესასწაულს.“

<sup>14</sup> Netgazeti.ge (ვებ.გვერდი), „რაზე მიანიშნებს საპატრიარქოს დუმილი საარჩევნოდ“, 23.11.2020, <https://netgazeti.ge/news/500673/> [ბოლოს ნანახია: 26.11.2020]

**თუ პატრიარქი წელს არ უღოცავს არჩევნებში გამარჯვებულს, ძალიანაც კარგი” - ასე ესმაურება მიუნხენის წმინდა ვახტანგ გორგასლის სახელობის სახელობის ცართული მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვარა, დეკანოზი თამაზ ლომიძე არჩევნებთან დაკავშირებით საპატრიარქოს განცხადებას. მისი თქმით, ეკლესიას არცერთ არჩევნებში გამარჯვებულსთვის არც მანამდე უნდა მიელოცა.**

“თუ პატრიარქი წელს არ უღოცავს არჩევნებში გამარჯვებულს, ძალიანაც კარგი, მართლმადიდებელი პოზიციისა და ასე უნდა იყოს. უფრო მეტსაც გეტყვით, არც წინა არჩევნებში, არც იმის წინაში, არც იმის წინაში და არასოდეს, არცერთ არჩევნებში გამარჯვებულსთვის არ უნდა მიელოცა ეკლესიას. ეკლესია განაგრძობს იდგენს საარჩევნო კამპანიისგანაც და დამრჩევი პარტიისგანაც შორსმდინარეობს. ასეა საარჩევნო და უმთავრესად სახმარისი.”

**ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტი არჩევნების ლეგიტიმაციის საკითხს ეპისკოპოს ბრწყინებებს**

დამატების თარიღი: 23 ნოემბერი, 2020

„მწვეფემ აყენებთ არჩევნების ლეგიტიმაციის საკითხს“ – „არა“ -ასე უპასუხა ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტმა მეუფე გერასიმე შარაშერიძემ შარნალისტის მიერ დასმულ კითხვას,რომელიც საპარლამენტო არჩევნების ლეგიტიმაციის შეხებობდა.

„ჩვენ ვულოცავთ დღესასწაულებს ვინც ქრისტიანულად ცხოვრობს და ქრისტიანულად აღესრულება ყველას ვულოცავ გიორგობის წმინდა დღესასწაულს,“ - აღნიშნა მეუფემ ზუგდიდის ივერიის ღვთისმშობლის სახელობის მუნიციპალიტეტის შირვა-ლოცვის დასრულების შემდეგ.

2020 წლის საპარლამენტო არჩევნებს თავშეკავებულად გამოეხმაურა ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი მეუფე გრიგოლი. მან არჩევნების შესახებ დასმულ კითხვას „არჩევნებზე გაჟღერდა ხალხის ხმა“? კითხვითვე უპასუხა: „მთვარია ხალხის ხმა, მე ასე ვფიქრობ. ამ არჩევნებზე გაჟღერდა ხალხის ხმა? უამრავ ინტერვიუს იღებთ, როგორ ფიქრობთ, გაჟღერდა?“ - განუცხადა მან ჟურნალისტს.

არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით საპატრიარქოს თავშეკავება მისასაღმებელია და განსაკუთრებით საინტერესო წარსულში არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით - საპატრიარქომ თითქმის ყველა არჩევნების დროს ოფიციალურად მიულოცა გამარჯვებულ ძალას, მიუხედავად იმისა, გამოცხადებული იყო თუ არა არჩევნების საბოლოო შედეგები. მაგალითად, 2018 წლის ნოემბერში, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა ილია მეორემ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში გამარჯვება სალომე ზურაბიშვილს მეორე დღესვე მიულოცა, როცა არჩევნების შედეგები ჯერ კიდევ არ იყო ოფიციალურად შეჯამებული.<sup>15</sup> პატრიარქმა ბიძინა ივანიშვილს გამარჯვება მიულოცა 2012 წლის 5 ოქტომბერსაც, არჩევნებიდან მე-4 დღეს,<sup>16</sup> მაშინ როდესაც ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არჩევნების საბოლოო შედეგები 2012 წლის 19 ოქტომბერს გამოაქვეყნა.<sup>17</sup>

<sup>15</sup> radiotavisupleba.ge (ვებ.გვერდი), „დამუხრუჭებული მილოცვა „ოცნებისთვის“ - რას ელოდება საპატრიარქო“, 25.11.2020, <https://www.radiotavisupleba.ge/a/30968938.html>

<sup>16</sup> palitravideo.ge (ვებ.გვერდი), „.. ილია მეორემ ბიძინა ივანიშვილს არჩევნებში გამარჯვება მიულოცა“, 05.10.2012, <https://www.palitravideo.ge/yvela-video/akhali-ambebi/22219-ilia-meorem-bidzina-ivanishvils-archevnebshi-gamarjveba-miuloca.html>

<sup>17</sup> cesko.ge (ვებ-გვერდი), 2012 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნების შედეგების შეჯამება, ხელმისაწვდომია <https://cesko.ge/geo/list/show/11083-2012-wlis-saqartvelos-parlamentis-archevnebis-shedegebis-shedjameba-8373>





ილია მეორემ ბიძინა ივანიშვილს არჩევნებში გამარჯვება მიულოცა

20:19 / 05-10-2012

ბიძინა ივანიშვილის "ფეისბუქის" გვერდზე გამოქვეყნდა ვიდეო "პატრიარქის მილოცვა", რომელსაც ახლავს ტექსტი: "საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ბიძინა ივანიშვილს არჩევნებში გამარჯვება მიულოცა. "ქართული ოცნების" ლიდერი დღეს საღამოს საქართველოს საპატრიარქოში იმყოფებოდა. ილია მეორემ ბიძინა ივანიშვილს სამების ხატი აჩუქა. საპატრიარქოს შემდეგ "ქართული ოცნების" ლიდერმა სიონის საკათედრო ტაძარი მოილოცა."

გადაჭრით იმის თქმა, რომ საპატრიარქომ წინა წლების ტრადიცია დაარღვია პოლიტიკური პროცესებისგან სრული დისტანცირების და სეკულარიზმის პრინციპიდან გამომდინარე, რთულია, განსაკუთრებით წინასაარჩევნო პერიოდში სასულიერო პირთა მაღალი პოლიტიკური აქტიურობის ფონზე.<sup>18</sup>

ზოგადად კი, საპატრიარქოს მხრიდან თავშეკავებული პოზიცია დადებითად უნდა შეფასდეს. სეკულარულ სახელმწიფოში, რელიგიური ორგანიზაციის მხრიდან მსგავსი დისტანცირებული პოზიცია ცალსახად პოზიტიური ნაბიჯია და ხელს უწყობს პოლიტიკური და რელიგიური ინსტიტუტების ერთმანეთისგან ფუნქციურ გამიჯვნას.

<sup>18</sup> democracyresearch.org (ვებ-გვერდი), „წინასაარჩევნო კამპანიაში რელიგიური ორგანიზაციების და კონკრეტული სასულიერო პირების მონაწილეობა შეინიშნება“, 30.10.2020, [http://www.democracyresearch.org/geo/447?fbclid=IwAR32h00tb6h4aYtQpzEPcV2h\\_NUR2Guy1i-IatICcPWjaPj0HAZxLxdhy2I](http://www.democracyresearch.org/geo/447?fbclid=IwAR32h00tb6h4aYtQpzEPcV2h_NUR2Guy1i-IatICcPWjaPj0HAZxLxdhy2I)